



**ბუღალტრული აღრიცხვის,
ანგარიშგებისა და აუდიტის
ზედამხედველობის სამსახური**

15 დეკემბერი 2023



N 1133

ქ. თბილისი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

**საქმიანობის ინდივიდუალურად განმახორციელებელი აუდიტორი - თამაზ ბუკიასთვის
პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე**

თამაზ ბუკია [REDACTED], იურიდიული მის.: ქ. ზუგდიდი, ჩილაჩავას ქუჩა N72ა) (შემდგომში - აუდიტორი) აუდიტორების/აუდიტორული (აუდიტური) ფირმების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრირებულია საქმიანობის ინდივიდუალურად განმახორციელებელ აუდიტორად და მინიჭებული აქვს სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-807255.

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ჟ“ ქვეპუნქტის თანახმად, ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგი არის აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიერ გამოყენებული პროცედურების აუდიტის, მიმოხილვის, სხვა მარწმუნებელი გარიგებებისა და დაკავშირებული მომსახურების საერთაშორისო სტანდარტებსა და ამ კანონით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის, ეთიკის წესების დაცვის, გამოყენებული რესურსების ხარისხისა და რაოდენობის, აუდიტორული საქმიანობის (მომსახურების) განხორციელებისთვის მიღებული ანაზღაურების მართლზომიერების და ხარისხის მართვის სისტემის შეფასება, ხოლო კანონის მე-19 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, აუდიტორის/აუდიტორული ფირმის ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგს ახორციელებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური (შემდგომში - სამსახური). ამასთან, „ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგის განხორციელების წესის შესახებ“ სამსახურის უფროსის 2017 წლის 12 ივლისის N6-9 ბრძანებით დამტკიცებული წესის 21-ე მუხლის 3⁷ პუნქტის თანახმად, პირველი ზომითი კატეგორიის საწარმოებისა და პირველი ზომითი კატეგორიის ჯგუფების ფინანსური ანგარიშგების აუდიტის (რომელიც განსაზღვრულია კანონმდებლობით დადგენილი წესით) განხორციელების უფლებამოსილება აქვს იმ აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას და მის გარიგების პარტნიორს, რომელზეც სამსახურის მიერ გაიცა პირველი, მეორე ან მესამე კატეგორიის დასკვნა, ხოლო ამავე მუხლის 3⁸ პუნქტის შესაბამისად, მეორე ზომითი კატეგორიის საწარმოებისა და მეორე ზომითი კატეგორიის ჯგუფების ფინანსური ანგარიშგების აუდიტის (რომელიც განსაზღვრულია კანონმდებლობით დადგენილი წესით) განხორციელების უფლებამოსილება აქვს იმ აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას და მის გარიგების პარტნიორს, რომელზეც სამსახურის მიერ გაიცა პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე კატეგორიის დასკვნითი შეფასება.

სამსახურის 2019 წლის 20 დეკემბრის N1777 ბრძანების საფუძველზე, დასრულდა აუდიტორის ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგი; მიენიჭა აუდიტორს მე-5 (მეხუთე) კატეგორიის დასკვნითი შეფასება; აუდიტორს მიეცა აუდიტორული საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილება სუბიექტებისათვის, გარდა საზოგადოებრივი დაინტერესების პირებისთვის (სდპ), პირველი და მეორე ზომითი კატეგორიის საწარმოებისთვის და პირველი და მეორე ზომითი კატეგორიის ჯგუფებისთვის - ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განხორციელების უფლებამოსილებისა.

სამსახურში წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე გამოვლინდა, რომ აუდიტორმა განახორციელა ისეთი საწარმოს ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომლის აუდიტზეც ბოლო მონიტორინგის შედეგად განესაზღვრა შეზღუდვა. კერძოდ, მიმდინარე წელს აუდიტორმა განახორციელა კანონის შესაბამისად განსაზღვრული მეორე ზომითი კატეგორიის საწარმოს - [REDACTED] 2022 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის გარიგება.

2023 წლის 06 დეკემბერს სამსახურმა აუდიტორს გაუგზავნა N16/96024 წერილი და მოითხოვა პოზიციის (ახსნაგანმარტების) წარდგენა სამსახურის მიერ გამოვლენილ ზემოაღნიშნულ გარემოებასთან მიმართებით.

აუდიტორის 2023 წლის 10 დეკემბრის ახსნა-განმარტების (სამსახურში რეგისტრაციის N210042/16, 11.12.2023) თანახმად, 2023 წლის თებერვლის თვეში დაუკავშირდნენ [REDACTED] ხელმძღვანელობიდან, რათა განეხორციელებინა 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშო წლისათვის ფინანსური ანგარიშგების შემოწმება და შესაბამისი აუდიტორული დასკვნის მომზადება, საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში წარდგენის მიზნით. აუდიტორის განმარტებით, მისი კითხვის პასუხად სუბიექტმა მიუთითა, რომ წარმოადგენდა მესამე კატეგორიის საწარმოს. წარმოდგენილი ახსნა-განმარტების თანახმად, გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად (ხელშეკრულების საგნის გათვალისწინებით), აუდიტორმა განახორციელა 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშო წლისათვის ფინანსური ანგარიშგების შემოწმება და გასცა შესაბამისი აუდიტორული დასკვნა. აუდიტორი აღნიშნავს, რომ აუდიტის პროცესში ვერ მიაქცია ყურადღება საწარმოში დასაქმებულთა რაოდენობას, ენდო ასისტენტისა და დამკვეთის მოწოდებულ ზეპირ ინფორმაციას საწარმოს ზომით კატეგორიასთან მიმართებით, ხოლო როდესაც გადაამოწმა აღნიშნული ინფორმაცია reportal.ge-ზე, არ დაადასტურა იგი.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, აუდიტორმა განახორციელა ისეთი საწარმოს ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომლის აუდიტზეც ბოლო მონიტორინგის შედეგად განესაზღვრა შეზღუდვა. კერძოდ, მიუხედავად სამსახურის 2019 წლის 20 დეკემბრის N1777 ბრძანებისა, რომლის შესაბამისად აუდიტორს მიეცა აუდიტორული საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილება სუბიექტებისათვის, გარდა საზოგადოებრივი დაინტერესების პირებისთვის (სდპ), პირველი და მეორე ზომითი კატეგორიის საწარმოებისთვის და პირველი და მეორე ზომითი კატეგორიის ოჯახებისთვის - ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განხორციელების უფლებამოსილებისა, მიმდინარე წელს აუდიტორმა განახორციელა კანონის შესაბამისად განსაზღვრული მეორე ზომითი კატეგორიის საწარმოს - [REDACTED] 2022 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის გარიგება (დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა გაცემულია 2023 წლის 27 აპრილს). შესაბამისად, აუდიტორის მიერ დარღვეულ იქნა კანონმდებლობის მოთხოვნა, კერძოდ, არაუფლებამოსილი პირის (აუდიტორის) მიერ განხორციელდა ზემოთ აღნიშნული მეორე ზომითი კატეგორიის საწარმოს ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

კანონის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ამ კანონის V თავით გათვალისწინებულ აუდიტორულ მომსახურებასთან დაკავშირებული მოთხოვნების (მათ შორის, შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტების, მე-16 მუხლით განსაზღვრული წესების, მე-19 მუხლით განსაზღვრული ხარისხის მართვის სისტემის მიმართ მოთხოვნების და ამ სისტემის მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებული მოთხოვნების) დარღვევა გამოიწვევს აუდიტორის/აუდიტორული ფირმის ან/და შესაბამისი გარიგების პარტნიორის დაჯარიმებას 500- დან 5000 ლარამდე ან/და რეესტრიდან ამოღებას.

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგის განხორციელების წესის შესახებ“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2017 წლის 12 ივლისის N5-9 ბრძანებით დამტკიცებული წესის 21-ე მუხლის 3⁸ პუნქტის, „საქმიანობის ინდივიდუალურად განმახორციელებელი აუდიტორის - თამაზ ბუკიას ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის შედეგების შესახებ“ სამსახურის 2019 წლის 20 დეკემბრის N1777 ბრძანებისა და სამსახურის აუდიტისა და პროფესიული განათლების ზედამხედველობის დეპარტამენტის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის (აუდიტის ზედამხედველობის ინსპექტორი) 2023 წლის 14 დეკემბრის N128687-16 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საქმიანობის ინდივიდუალურად განმახორციელებელი აუდიტორი - თამაზ ბუკია [REDACTED] სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-807255) დაჯარიმდეს 4 000 (ოთხი ათასი) ლარით;

2. ჯარიმის გადახდა გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 30 დღის განმავლობაში უნდა მოხდეს შემდეგ ანგარიშზე ჩარიცხვით: სახაზინო კოდი/ანგარიშის ნომერი 302003550;

3. დავალოს სამსახურის შესაბამის თანამშრომელს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის შემდგომ ამ ბრძანების სამსახურის ვებგვერდზე 5 წლის ვადით გამოქვეყნების უზრუნველყოფა;

4. წინამდებარე ბრძანება გამოცემიდან არაუგვიანეს 2 დღის ვადაში გაეგზავნოს საქმიანობის ინდივიდუალურად განმახორციელებელ აუდიტორს - თამაზ ბუკიას;

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის საბჭოში (მის: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. N16) ან თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64, პეკინის ქ. N29 - ბულაჩაურის ქ. N7ა).

თორნიკე ძაგნიძე



პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

აუდიტისა და პროფესიული განათლების ზედამხედველობის დეპარტამენტი

<https://edoc.mof.ge/public/#/1133-16-4-202312150909>

